ჩემი უმმეთიდან ყველა შევა სამოთხეში, გარდა იმისა, ვინც უარყოს

აბუ ჰურაირა (ალლაჰი იყოს მისით კმაყოფილი) გადმოსცემს, რომ ალლაჰის შუამავალმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) თქვა: «ჩემი უმმეთიდან ყველა შევა სამოთხეში, გარდა იმისა, ვინც უარყოს", შეეკითხეს: ო, ალლაჰის შუამავალო, და ვინ უარყოფს? თქვა: «ვინც დამემორჩილა შევა სამოთხეში, ხოლო ვინც იურჩებს, მან უარყო».

[სანდო (საჰიჰ)] [გადმოსცა ალ-ბუხარიმ]

მოციქული (ალლაჰმა დალოცოს და მიესალმოს) გვამცნობს, რომ ყველა მუსლიმი შევა სამოთხეში, გარდა იმათი, ვინც უარყოფს. საჰაბებმა ჰკითხეს: ვინ არის ის, ვინც უარყოფს ო, ალლაჰის შუამავალო?! მოციქულმა (ალლაჰის ლოცვა და მშვიდობა მას) უპასუხა მათ, რომ ვინც დაემორჩილა და მიჰყვა შუამავალს - შევა სამოთხეში. ხოლო ვინც არ დაემორჩილა და არ მიჰყვა შარიათს, და უარყო ის თავისი ცუდი საქციელების მიზეზით - მან უარი თქვა სამოთხეზე.

http://www.sunnah.global/hadeeth/ka/show/4947